




ხაშურის მთაშუა



№30 (61)

9 აგვისტო, სამშაბათი, 2016 წელი

- ლესია უკრაინკას დღეები -

უკრაინაში -

მეგობრობა გრძელდება

ნოვოგრად-ვოლინსკი, უკრაინის ამ ქალაქის სახელი, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მშობლიური იტაა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. ათეული წლებია ხაშურსა და ნოვოგრად-ვოლინსკს შორის მეგობრობის ხიდი გაიღო და ეს მეგობრობა დღემდე გრძელდება. ამ ურთიერთობის სათავეში კი დიდი უკრაინელი პოეტი ქალი ლესია კოსაჩი - ლესია უკრაინკა დგას. ყოველწლიურად ხდება ამ ორი ქალაქის დელეგაციების სტუმრობა ძველ მეგობრებთან და გამონაკლისი არც წელს ყოფილა.

„ლესიას დღეები“ ასე ჰქვია იმ სახალხო ზეიმს, რომელიც ნოვოგრად-ვოლინსკში ტრადიციულად აგვისტოს დასაწყისში იმართება და რომელიც, ამ ქალაქის გარდა, მთელს უკრაინაში აღინიშნება. სხვა მრავალი ქვეყნის დელეგაციებთან ერთად, ზეიმში ხაშურის დელეგაციამაც მიიღო მონაწილეობა, რითაც კიდევ უფრო განმტკიცდება ის კავშირი, რომელსაც მარადიული მეგობრობა ჰქვია.



პატივი მიაგეს გმირების სხოვნას

გუშინ, 8 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძემ და მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა წარმომადგენლებმა 2008 წლის აგვისტოს ომის გმირების საფლავები გვირგვინებით შეამკეს.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი - კაპრალი დავით ბლიაძე ქვიშხეთშია დაკრძალული, კაპრალი ზაურ მახარაშვილი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ მედალი "მხედრული მამაცობისთვის" გადაეცა, მისი მშობლიური სოფლის - ოსიაურის სასაფლაოზე განისვენებს, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერმა კაპრალმა გიორგი წიქარიშვილმა კი სამუდამო განსასვენებელი თბილისის ძმათა სასაფლაოზე პპოვა.

- აგვისტოს ომის გმირების სიმამაცე და თავდადება სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისა და მომავალი თაობებისთვის, - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ქვიშხეთსა და ოსიაურში გმირებისთვის პატივის მიგებისას.

რეგულაციები - ვეტაფთიაქებისთვის


სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალურმა სამმართველომ აქტიურად დაიწყო ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ვეტერინარული აფთიაქებისა და ზოომდაზიებისათვის გარკვეული რეგულაციების დაწესება. რეგულაციები ეხება წამლებისა და ვაქცინების შენახვის წესს, ვადაგასულის აღმოჩენის შემთხვევაში, მკაცრი სანქციებს და ვეტაფთიაქების მიერ ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფას.

ამ საკითხებთან დაკავშირებით, უფრო ვრცლად, სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორს შმაგი ზაზიკაშვილს გავესაუბრეთ:

- პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ ვეტერინარული აფთიაქი უნდა დარეგისტრირდეს ბიზნესოპერატორად საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. რეგისტრაციის გარეშე ბიზნესოპერატორის საქმიანობა აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესოპერატორი დაჯარიმდება 500 ლარით, შესაბამისად, ის ვალდებულია დადგინდეს წესით და ფორმით წარუდგინოს შეტყობინება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის დაწესებისა და დასრულების შესახებ.

- ძირითადად რას ეხება ვეტერინარულ აფთიაქებისათვის დაწესებული რეგულაციები?

- უპირველესად, ეს ეხება არარეგისტრირებულ, ფალსიფიცირებულ, ვადაგასულ, გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეულ ვეტერინარულ პრეპარატების რეალიზაციას. რა თქმა უნდა, მსგავსი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, მოხდება დაჯარიმება 1000 ლარის რაოდენობით, ეტიკეტების წესის დარღვევისას ბიზნესოპერატორი დაჯარიმდება 200 ლარით, ხოლო დარღვევის განმეორებით აღმოჩენის შემთხვევაში - 600 ლარით. ვეტაფთიაქმა უნდა მოახდინოს შექმნილი პრეპარატების, აღრიცხვა, საჭიროების შემთხვევაში ჩამოწერა.



არარეგისტრირებული, ვადაგასული, ფალსიფიცირებული, უვარგისი ვეტერინარული პრეპარატების განადგურება ხორციელდება სააგენტოსთან შეთანხმებით. საქმიანობის განხორციელებისას სპეციალისტებს უნდა ეცვათ სპეცტანსაცმელი. აქვე დაგადაგებ, რომ ვეტერინარული პრეპარატების გაცემას უნდა ახორციელებდნენ უმაღლესი ვეტერინარული განათლების მქონე პირები.

- რამდენი ვეტერინარული აფთიაქია ჩვენს მუნიციპალიტეტში?

- სულ 12 ვეტერინარული აფთიაქი და 1 ზოომდაზიანა. ვეტერინარულ აფთიაქი განთავსებული უნდა იყოს შენობებში იზოლირებულად. შენობისა და იატაკის მოპირკეთება უნდა იძლეოდეს სველი დასუფთავების საშუალებას, სააფთიაქო ინვენტარის ზედაპირი ისეთი მასალის უნდა იყოს, რომელიც მდგრადი იქნება მედიკამენტებისა და ქიმიური რეაქტივების მიმართ. ვეტერინარული აფთიაქი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ავეჯით, ინვენტარ-მოწყობილობებით, აპარატურით. გამომდინარე იქიდან, რომ იმუნო-ბიოლოგიური პრეპარატების შენახვისათვის საჭიროა ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნება, ვეტაფთიაქი აღჭურვილი უნდა იყოს კარადა მაცივრებით, ანდა, სამაცივრე ოთახით, სადაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი ტემპერატორული რეჟიმის დაცვა.

თ. ახალკაცი

ერთ-ერთი მთავარი მესიჯი, რომელიც ხელისუფლებამ „ქართულმა ოცნებამ“ ჩვენს მოსახლეობას უნდა შესთავაზოს და ამისათვის არჩევნებამდე ყველაფერი გააკეთოს - არის სწორედ ზემოსხენებული მესიჯი - „არც ერთი ნაციონალი საქართველოს პარლამენტში“.

ის ფაქტი, რომ დანაშაულებრივ პოლიტიკურ სექტას - ნაციონალურ მოძრაობას ჯერ კიდევ ჰყავს მომხრეები და ზოგიერთი ახლაც წვერიანდება მასში (ცხადია, თანამდებობების გულისთვის), ჩვენი საზოგადოების სერიოზულ ავადმყოფობაზე მიუთითებს.

ამ სექტის აქტიურ წევრებს და იდეოლოგებს უცხოეთის სპეცსამსახურები საგანგებოდ აგროვებდნენ, გადაიბირებდნენ და წვრთნიდნენ ხელისუფლებაში მოსასვლელად და ქართულ რეალურ სახელმწიფოებრივ ინტერესებთან დასაპირისპირებლად, ქვეყნის დასაქცევად. ამ მიზნის მისაღწევად მათთვის არ იშურებდნენ ფულს, გრანტებს, ფუფუნებას, უცხოეთში სწავლას და მივლინებებს, ხელისუფლებაზე ზეწოლას მათ დასაწინაურებლად და შესანარჩუნებლად.

ეს არც თუ უნიჭო, მაგრამ უზნეო და ცვედანი ადამიანები ათწლეულებია არ ჩამოდიან ტელევიზიის ეკრანებიდან, პრესის ფურცლებიდან.

განო“).

ესაა დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელმაც „ჩარეცხილებად“ გამოაცხადა ჭაღარა, საპატივცემულო ადამიანები და, ფაქტობრივად, არ ახარებდა 45 წელს გადაცილებულ ხალხს, სამაგიეროდ აწინაურებდა გაუნათლებელ, საეჭვო რეპუტაციის და ზნის ახალგაზრდებს.

ესენი არიან ფსიქიკურად გაუწონასწორებელი „პიროვნებები“, რომლებიც ციხეში სვამდნენ ადამიანებს სიმართლისათვის და განსხვავებული აზრის გამოთქმისა და გაფიქრებისათვისაც კი (სულხან მოლაშვილი და ყოფილი პოლიტპატიმრები ამის კარგი მაგ-

არცერთი ნაციონალი - პარლამენტში

ალითებია. მოლაშვილს ციხეში წამების და დამცირების შემდეგ შპრიცით განუკურნებელი სენიც კი შეჰყარეს).

ეს ზნედაცემული რეკეტიორები ართმევდნენ ხალხს ქონებას, ფულს, სახლებს, მანქანებს, აგარაკებს, შემოსავლიან ბიზნესებს. ამათაც არ სჯერდებოდნენ და ციხეში გამოკეტავდნენ და ყველანაირ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მათი

ბლობისაკენ უბიძგებდნენ და აქეზებდნენ.

მათ ყველა სფეროში შექმნეს პრივილეგირებულ და თავხედ, ფაქტობრივად საშუალო ან უნიჭო ადამიანთა ფენები, რომლებიც თავზე დაასვეს ნიჭიერ და პატიოსან, პატრიოტ ადამიანებს.

ისინი მზად იყვნენ მთელი საქართველოს გასაყიდად, თუ ამაში კარგ ფასს გადაუხდიდა ვინმე, თუნდაც რუსი, რომელიც თითქოს ეზიზღებოდათ.

ესაა ყველაფერი უცხოურზე უაზროდ დაგიუბუღი „ხალხი“, რომლებმაც ქართული სიმღერა, ცეკვა და ქართულად მეტყველება მოანატრეს ქართველებს, ასობით ათასი ქართველი აიძულებს საზღვარგარეთ დამამცირებელ სამუშაოზე წასასვლელად და ისინი დღემდე ვერ ბრუნდებიან საქართველოში.

ესაა „ხალხი“, რომლებმაც მოჩვენებითად გაზარდეს ეკონომიკა და ხალხის კეთილდღეობა, რეალურად ვერ გადაწყვიტეს ქართული სოფლების და რაიონული ცენტრების პრობლემები, დაასამარეს სოფლის მეურნეობა და ქვეყანა იმპორტზე დამოკიდებულად აქციეს, შექმნეს ელიტარული კორუფცია, როცა რამდენიმე ადამიანს ყველაფრის უფლება ჰქონდა, ბავშვებს კი პროდუქტის მოპარვისათვის ციხეში სვამდნენ. მათ დაიმორჩილეს პროკურატურა და სასამართლო. არარად აქციეს სამართალდამცავი ორგანოები პოლიციის და სუს-ის გარდა, ქვეყნიდან გააძევეს სამართლიანობა და სრული განუკითხაობა და ვოლუნტარიზმი გაამეფეს. მათი ოჯახებისა და საყვარლების შენახვას მივლინებებს და ძვირფას ნივთებს ხმარდებოდა ნახევარი ბიუჯეტი და უცხოეთიდან აღებული სესხები.

ესაა უღმერთო ადამიანთა ხროვა, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს ქართულ ეკლესიას და ძალადობით თუ საჩუქრებით დაიმორჩილეს ბევრი სასულიერო პირი თუ მღვდელმთავარი. (მათი საბოლოო მიზანი იყო ეკლესიის გახლეჩვა რამდენიმე ნაწილად).

დადგა გადამწვევტი ქაში, როდესაც ისინი საბოლოოდ უნდა შეეჩაქროთ და ამოვიპრკვოთ ქართული რეალობიდან სწორედ არჩევნებზე აქტიური მისვლით და მათი არ შემოსაზვით თუ გადასაზვით.

მაჩვენეთ თუნდაც ერთი მაღალზნეობრივი, პატრიოტი და განათლებული ნაციონალი ლიდერი და საარჩევნო სიის ე.წ სახეები, რომელიც ხალხს უყვარს და უკან დავიხვე.

როგორც გენიალური დავით გურამიშვილი იტყოდა „ვერა ვნახურა მე მათი საქმენი მინახვლომარე, რასაც მისდგნენ არ დარჩათ ის საქმე წაუხლომარე“.

თუ ამ ყველაფრის მერე მათ მაინც მიადვიეს წარმატებას, მე ყოველგვარი წარმოდგენა დამეკარგება ქართველობაზე და ბევრ სხვა პატრიოტთან ერთად მის წინააღმდეგ წასვლა მომიწევს!

არ გაიხარონ ნაციონალებმა ჩვენზე, ქართველებო!

P.S. ვიცი ახლაც გამოხტება ვინმე და იტყვის - კი მაგრამ ნაციონალებმა რაღაც კარგიც ხომ გააკეთესო ქვეყნისთვის?

მასე კომუნისტებმა რომ ააშენეს და ფეხზე დააყენეს ქვეყანა, ბოლო 6 საუკუნის განმავლობაში ასეთი პრეცედენტი არც ყოფილა. მაგრამ დღეს მათ მხარს არავინ უჭერს და არც არავინ ჰყვება მათ „დიად საქმეებზე“, როგორც ისინი გადაშენდნენ, იგივე ბედი ელით ნაციონალებსაც საბოლოოდ.

ქვეყანას თუთაშხიები სჭირდება და არა მუშნი ზარანდიები.

ვაჟა შუბითიძე



ესაა „ხალხი“, რომლებმაც ძალაუფლების გულისთვის გაიმეტეს როგორც პოლიტიკური მამა ედუარდ შევარდნაძე და მისი მომხრეები, ასევე სასიკვდილოდ არ დაინდეს თავისი უფროსი მეგობარი და გზის გამკვალავი ზურაბ ჟვანია, ბევრი სხვა თანამებრძოლი.

ესენი არიან „ადამიანები“, რომლებმაც აჭარის ხელში ჩაგდებისთვის საქართველოს დააკარგინეს აფხაზეთი და კოდორის ხეობა, შიდა ქართლის ნაწილი და ქსნის ხეობა, დევნილებად აქციეს ათიათასობით ადამიანი თავის სამშობლოში და საზღვარგარეთიდან მათთვის გამოყოფილი 4,5 მილიარდი დოლარის ნახევარზე მეტი მითთვისეს, უამრავი ადამიანი დაასამარეს.

ესაა „ხალხი“, ვისაც (როგორც ნოდარ დუმბაძე იტყოდა) გაწვევტილი აქვს შუბლის ძარღვი, დემაგოგობის და შეუსრულებელი დაპირებების „ოსტატები“, სატელევიზიო დაპურებებით რომ კვებავდნენ ქვეყანას (ამაში მათ ეხმარებოდა და ქართულ საზოგადოებას მეთოდურად წამლავდა რუსთავი-2, რომელიც 2000 წლამდე პართლაც იყო ტელევიზია, დღეს კი არის კომპარტიის ცეკას დროინდელი ავტორიტარ-პროპაგანდის განყოფილება თუ „ორ-

დაქირავებული ჯალათები წამებით ხოცავდნენ, აუპატიურებდნენ არა მარტო ცალკეულ პატიმრებს, არამედ ციხეში მათ სანახავად მოსულ ოჯახის ქალბატონებს.

ესაა ბითურების ნაკრები, რომლებსაც ხერხემალში გადატყვეს ქართული მეცნიერება და განათლების სისტემა, სახე დაუკარგეს მეცნიერებათა აკადემიას და მის ინსტიტუტებს, რითაც საქართველოს ხვალისდელი დღე მოუსპეს და დიდი ხნით გადაუვადეს, შიმშილისათვის გაწირეს ათასობით პროფესორი და ხელოვანი, კულტურის მოღვაწე.

ესენი არიან ე.წ. ცრუ უფლებამცველები (თავიანთი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციებით), რომლებმაც დემოკრატიის ჩანახაიცი კი მოსპეს საქართველოში, დააშინეს და დაიქვემდებარეს პრესა და ტელევიზია, შექმნეს ე. წ. მედია-ექსპერტთა და პრივილეგირებული „ჟურნალისტების“ კოპორტა, რომელიც დღემდე ატყუებს და დასციინს ქართულ საზოგადოებას.

ესაა ახალგაზრდობაზე მოჩვენებითად მზრუნველი „ხალხი“, რომლებიც სინამდვილეში ახალგაზრდობას გარყვნილებისა და თავაშვებულებისაკენ, უზნეობისა და უპასუხისმგე-

რისკი რომ შემცირდეს...

გასულ ნომერში, მწვავე ინფექციური დაავადების ბრუცელოზის და მისგან თავდაცვის საშუალებების შესახებ ვწერდით, რომლის გავრცელების საშიშროება ჩვენს მუნიციპალიტეტშიც იყო. მოსახლეობას სიფრთხილისკენაც მოუწოდეთ, დაავადება როგორც ცხოველებში ასევე ადამიანებში ფაქტურად მთავრდება, გამომდინარე იქიდან, რომ ბრუცელოზი მკურნალობას არ ექვემდებარება. თუმცა, ამჟამად, სურათი შეცვლილია. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორმა

ნინო თედიაშვილმა განაცხადა, ჩვენს რაიონში ბრუცელოზის 5 შემთხვევა დაფიქსირებული. სოფელ მიწობში 4 მეწველი ძროხა დაავადდა, ხოლო სოფელ ტეხურში - ერთი. დავადებული ხუთივე ცხოველი სასაკლაოზე იქნა გადაყვანილი და ვეტერინარის მეთვალყურეობის ქვეშ დაიკლა. შესაბამისად, დაავადების გავრცელების რისკ-ფაქტორები ორმაგად გაიზარდა და მოსახლეობასაც განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა მმართველთ. ნებისმიერი სიმპტომის შენიშვნისთანავე მათ უნდა მიმართონ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს და ისინი, თავის მხრივ შეეცდებიან დაავადების გავრცელების რისკის შემცირებას.

ანაგარაზე ისევ ინთება წმინდა სანთლები

ყოველი ივლისის ბოლო კვირას, სოფელ დამხეულას მოსახლეობა ანაგრობას აღნიშნავს. უკვე მოსახლეობისაგან დაცლილი სოფლის მოსახლეობა 25 წელია იკრიბება, ერთიანდება და სოფლის სამხრეთით, ღორინამკლის მთის ძირში მდებარე წმ. გიორგის სახელობის ადრე შუასაუკუნეების ხანის ეკლესიისაკ-

მაშა სერაფიმე, მონასტერში ცხოვრებას ჩვეული, მუხლმოსხრელად ავიდა მთაზე და წმინდა გიორგის ეკლესიაში მცირე პარაკლისი გადაიხადა. ეკლესია, ნახევრად დანგრეულია, რესტავრაციას და აღდგენას საჭიროებს. სოფლის მოსახლეობამ მისი გადარჩენის მიზნით, ძალები და შესაძლებლობები გააერთიანა, საბანკო ანგარიშიც გახსნეს, მაღლიანი შემომწირველებისთვის, რადგან ეს არაა ერთი კაცის, ერთი სოფლის საკუთრება, ეს ერის სულიერი მემკვიდრეობის ნაწილია, რამაც გადაგვირჩინა მომავალი, შეგვინარჩუნა ერისა და ქვეყნის სტატუსი.



ენ მიემართებიან, წელს, 27 ივლისს, ყოველწლიური ტრადიცია არ დაივიწყა მოსახლეობამ. შეიკრიბნენ, ახმაურდა და სიცოცხლით გაივსო სოფელი. ოჯახის თავებმა(მამაკაცებმა), ხარებს აკიდეს ორი დღის საგზალო, ცხვარს რქებში ხელი წაავლეს და გაუდგნენ რამდენიმე საათიან გზას ანაგარის მთისაკენ, რათა კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ

მცირე პარაკლისისა და ტრაპეზის შემდეგ, ახალგაზრდები დამხეულაში დაებრუნდნენ, სოფლის კაცები დარჩნენ დამის სათვად. ტაბატაძეების ოჯახში, სადაც ხეც კი რამდენიმე საუკუნეს ითვლის, გავიხსენეთ ჩვენი წარსული, დღევანდლობა, მომავალი დაეულოცეთ ერს და ერთანეთს. გავერთიანდით, ანაგრობის ერთ-მა დღემ, აქამდე უცნობი ადამანები



წინაპრების ადათი, რწმენის შენახვის და გადარჩენის. წელს, მეც მერგო პატივი, დამხეულაში მოსახლე ორი გვარის, ტაბატაძეების და გოგოლაძეების სტუმრობის. გზა მართლაც გრძელი და დამძლევი აღმოჩნდა, დათმობა არც მზემ ისურვა და ასე, გზისაგან და სიცხისაგან დაღლილები, შეუპოვრად მივიწვევით წინ.

დაგვაახლოვა, დაფანტული, დაცლილი სოფელი შეკრიბა, მაღლით გაუყენა გზას, რომელიც იმ ტაძრისკენ მიდის, საიდანაც ჩვენი მომავალი გვიყურებს.

თ. ჯავახიშვილი

ღირსეული თანამემამულე

ზაფხულობით, ჩვენს მუხეუმს ხშირად უწევს მასპინძლობა იმ ღირსეული თანამემამულეებისა, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში უწევთ მოღვაწეობა. მათ შორისაა სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე აღმოსავლეთმცოდნე ჰენრიკო ხარატიშვილი. ქალბატონი ჰენრიკო დიდი სიამოვნებით თანამშრომლობს ხაშურის მუხეუმთან. ახლახან, მან მუხეუმში წარმოადგინა საინტერესო სტატია: „კავკასიათმცოდნეობა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში“, რომელშიც მოთხრობილია საინტერესო ამბები და მოვლენები კავკასიათმცოდნეობასთან დაკავშირებით პეტერბურგის უნივერსიტეტში, აღმოსავლური კაბინეტის დაარსებიდან (1818 წელი) დღემდე. მის კალამს ეკუთვნის წიგნი:

ГРУЗИНЫ — ПРОФЕССОРА, ПРЕПОДАВАТЕЛИ И ВЫПУСКНИКИ САНКТ-ПЕТЕРБУРГСКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА (XIX—XX ВВ.)




მუხეუმის დიდი მეგობარია, ასევე, ქალბატონი ჰენრიკოს ოჯახი. სამწუხაროდ, მისი ძმა, ბატონი კუკური ხარატიშვილი, ღირსეული მოქალაქე, შესანიშნავი შვილების მამა და არაჩვეულებრივი ძმა, ამ ორიოდე წლის წინ გარდაიცვალა, თუმცა, მუხეუმში ამ ურთიერთობებს მის შესანიშნავ მეუღლესთან განაგრძობს.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ჩვენს მიერ მოწოდებული ბიოგრაფიული ცნობები ქალბატონ ჰენრიკო ხარატიშვილის შესახებ.

ჰენრიკო სერგოს ასული ხარატიშვილი დაიბადა 1936 წელს ხაშურის რაიონის სოფ. ტეზერში. 1943 წელს შევიდა ხარაგაულის (მაშინდელი ორჯონიკიძის) რაიონის სოფ. ნებოდირის დაწესებით სკოლაში. მე-3 კლასიდან სწავლა გააგრძელა სოფ. ტეზერის რვაწლიან სკოლაში, რომელიც 1951 წელს დაამთავრა. ამავე წელს, ჰენრიკო ხარატიშვილი თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებელში (სამედიცინო სკოლა) შევიდა, რომლის დამთავრების შემდეგ, 1954-1965 წლებში მუშაობდა მედდად ქ. თბილისის და ქ. ლენინგრადის სამედიცინო დაწესებულებებში. 1964 წელს დაამთავრა ქ. ლენინგრადის ორწლიანი სახელმწიფო კურსები (ინგლისური ენის სპეციალობით).

1965-1971 წლებში ჰენრიკო ხარატიშვილი სწავლობდა ქ. ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე.

პარალელურად, 1968-1969 წლებში მუშაობდა თარჯიმნად ავღანეთის ქალაქ ქაბულში. 1971 წლიდან მუშაობს ქ. ლენინგრადის (ამჟერად სანკტ-პეტერბურგი) უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, ჯერ უფროსი ლაბორანტის და შტატ-გარეშე მასწავლებლის, ხოლო შემდეგ ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის და დოცენტის თანამდებობებზე. ჰენრიკო ხარატიშვილი, 1972 წლიდან დღემდე, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე კითხულობს ლექციებს: ირანის და ავღანეთის გეოგრაფია, ისტორია, ეთნოგრაფია, სპეცკურსებს და სპეცსემინარებს: ავღანეთის კულტურის ძეგლები (ბამიანი), „მასხმედ ტარზის საგანმანათლებლო მოღვაწეობა“, „სირაჯ აბტაგარისი“ – მე-19 საუკუნის ავღანეთის ისტორიული ძეგლი“, „მირ დულამ მუჰამად გუბარის „ავღანეთი ისტორიის გზებზე“, „ავღანეთის პრესა“ დარიუნოვანი ტექსტების გამოყენებით. აქვე, ჰენრიკო ხარატიშვილი ასწავლის სპარსულ ენას – დარის (ავღანეთის ერთერთი სახელმწიფო ენა), ხელმძღვანელობს სტუდენტების საკურსო, სადიპლომო და მაგისტრანტების სადისერტაციო ნაშრომებს.



1997 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ავღანეთი და ევროპული ქვეყნები. პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები მე-19 საუკუნის ბოლოს“.

2002 წლიდან ლექციებს კითხულობს ფაკულტეტის ახალი განყოფილების „კავკასიისმცოდნეობა“ (სომხური და ქართული ენები) სტუდენტებისთვის საქართველოს გეოგრაფიაში, ისტორიაში, ეთნოგრაფიაში, ირან-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში; აცნობს მათ ქართულ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ძეგლებს, ასწავლის საღაპარაკო ენას.

2004 წელს რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტრომ ჰენრიკო ხარატიშვილს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი პროფესიული განათლების საპატიო მუშაკის წოდება მიანიჭა.

2007 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მას უნივერსიტეტის პრემიის ღირსეულის დიპლომი – „პედაგოგიური ხელოვნებისთვის“ მიანიჭა.

სასიამოვნოა, რომ სანკტ-პეტერბურგის სახელგანთქმულ უნივერსიტეტში მოღვაწეობს ჩვენი თანამემამულე, სამეცნიერო წრეებში აღიარებული, მართლაც შესანიშნავი ქალბატონი.

მზია ლობჯანიძე, მხარეთმცოდნეობის მუხეუმის ფონდების მთავარი მცველი

ჩვენი თანამემამულე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მიხეილ ლონიკიშვილი წლებია იკვლევს ბაგრატიონთა მოღვაწეობას ემიგრაციაში. ამ თემაზე მას მრავალი ნაშრომი და მონოგრაფია აქვს გამოცემული. ამ სამეცნიერო კვლევებში, ბუნებრივია, დიდი ადგილი ეთმობა გამოჩენილ მხედარმთავარს პეტრე ბაგრატიონს. ამ რამდენიმე ხნის წინ, ბატონი მიხეილ რედაქციაში გვესტუმრა და პეტრე ბაგრატიონზე მცირე ზომის ნაშრომი დაგვიტოვა, რომელშიც ბაგრატიონთა ამ ბრწყინვალე წარმომადგენლის ოჯახური დრამა აღწერილი. ვფიქრობთ, ეს ნაშრომი საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისთვის.

მრავალი ომისა და ბრძოლების მონაწილე და ყოველთვის გამარჯვებული, ქართველი გენერალი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, დიდი სიყვარულს

სადმი. ეკატერინე პავლეს ასული გაათხოვეს, მაგრამ მაინც ჩამოდიოდა პეტერბურგში დედასთან, მეუღლესთან ერთად და კვლავ ნახულობდა და თავის სიმპათიებს გამოხატავდა პ. ბაგრატიონისადმი.

სმოლენსკის დატოვების შემდეგ, 1812 წლის

1812 წლის სამამულო ომის გმირის-პეტრე ბაგრატიონის ქორწინების პირველი და უკანასკნელი მარცხი

აგვისტოში, რუსეთის არმიის მთავარსარდლის, ბარკლაი-დე-ტოლის გადაყენების საკითხი დასვა, ამ საკითხის დასმის ინიციატორი ქართველი გენერალი იყო. მთავარსარდლის არჩევა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო. სხდომას მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე

– გენერალ-ფელდმარშალი ნ. სალტიკოვი თავმჯდომარეობდა. წევრები იყვნენ: პოლიციის მინისტრი ა. ბალაშოვი, პეტერბურგის მთავარსარდალი – ს. ვიაზმიტინოვი და ორი საიდუმლო მრჩეველი. კომიტეტს უნდა შეერჩია რუსი გენერლებისგან ისეთი პიროვნება, რომელიც ცნობილი იყო სამხედრო მოღვაწეობით, ექნებოდა დიდი საბრძოლო გამოცდილება, არმიის ნდობა და მაღალი ჩინი.

არმიის გენერალთა მიერ მთავარსარდლის თანამდებობაზე პ. ბაგრატიონი იქნა წამოყენებული. კომიტეტის სხდომაზე რამდენიმე სხვა კანდიდატი იქნა დასახელებული: პ. ბაგრატიონი, დ. დოხოტოროვი, ლ. ბენიგსენი, ა. ტორმასოვი და სხვა.

ქართველი გენერლის შესახებ იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა თავისი დის ეკატერინე პავლეს ასულის სიმპათიებიც გაიხსენა ალბათ და განაცხადა: „ბაგრატიონის გვარი ისევე ჟღერს, როგორც ბარკლაისა, არცერთი არ არის რუსული, მათ შორის, მოულოდნელად, იმპერატორის ალექსანდრე პირველის მიერ მთავარსარდალად მიხეილ კუტუზოვი დაინიშნა. ბაგრატიონი კვლავ არმიის სული და გული, მთავარსარდლის – მ. კუტუზოვის საყრდენ გენერალად

სწრაფად გაემართა კარისაკენ, მან არ მოისურვა მისი გაცნობა და იქაურობას გაცლა აჩუქებინა. ეკატერინე სწრაფად გაემართა მისკენ და წინ გადაეღობა და გულში ღრმადგანაწყენებულმა, აღერსიანი გამომეტყველებით მიმართა: „მამაც გენერალს არ შეჰფერის სუსტ ქალიშვილს ზურგი აქციოს და გაექცეს“.

ბაგრატიონისთვის ამგვარი შემთხვევა პირველი იყო და ეჭვი არ შეჰპარვია ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაიას გულახდილობაში. ქალიშვილი სრულებითაც არ ფიქრობდა ბაგრატიონზე გათხოვებას. ქართველ გენერალს შეუყვარდა იგი, მან კი მისი სიყვარული არაფრად ჩააგდო. მას ვერ აეტანა ქართველი გენერლის ბალაშოვის მეშვეობით გაცნობასთან დაკავშირებული მარცხი და სამაგიეროს გადახდა ჰქონდა ჩაფიქრებული.

ეკატერინე სკავრონსკაია მდიდარი და ცნობილი, სამეფო კართან დაახლოებული მშობლების ასული იყო. მისი ბებულის მამა კარლ სკავრონსკი დიდი ძმა იყო ხელმწიფე იმპერატორისა ეკატერინე პირველისა. ეკატერინე პირველის ტახტზე ასვლისთანავე, 1725 წელს, კარლ სკავრონსკიმ აზნაურის წოდება მიიღო დიდძალი მამულებით. კარლ სკავრონსკის შვილიშვილი – პავლე მარტინის ძე – რუსეთის ელჩი იყო ნეაპოლში, სადაც გარდაიცვალა 1793 წელს. სიკვდილამდე ხუთი წლით ადრე, იგი დაქორწინდა პოტიომკინის დის შვილზე – თავის დროზე უღამაზეს ქალზე – ეკატერინე ვასილის ასულ ენგელგარდტზე. ამ ქორწინებით მას შეეძინა ორი ქალიშვილი, ჩვენთვის საინტერესო პეტრე ბაგრატიონის სიდედრი ეკატერინე და მარია.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, გრაფინია – ეკატერინე ვასილის ასული სკავრონსკაია მეორედ გათხოვდა გრაფ ლიტაზე, 1798 წელს. ეკატერინე არ აპირებდა ბაგრატიონზე გათხოვებას. 1800 წელს იმპერატორ პავლე პირველის ბრძანებით ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია გათხოვდა პეტრე ბაგრატიონზე. ეკლესიაში საქორწინო წეს-ჩვეულების შესრულებას იმპერატორი და მისი მეუღლე ესწრებოდნენ.

ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგაც პეტრე ბაგრატიონი სამხედრო საქმეებით იყო დაკავებული. მის მეუღლეს ერთი სული ჰქონდა, როგორმე მეუღლე დაეტოვებინა და საზღვარგარეთ წასულიყო. 1805 წელს ვეროპაში საერთაშორისო ვითარება დაიძაბა. ქართველმა გენერალმა ბრძოლის ველს მიაშურა, მეუღლემ კი ისეღა დრო და საზღვარგარეთ გაემგზავრა, რათა საბოლოოდ დაშორებოდა ქმარს. იგი მეტწილად ვენაში იყო და მაღალი წოდების წარმომადგენლებთან მხიარულად ატარებდა დროს.

შვედების წინააღმდეგ ომის დასრულებას რამდენიმე თვე სჭირდებოდა, როცა 1809 წლის მარტში 17 ათასიანი კორპუსით ბოტნიის ყინულიანი ყურე გადალახა. კორპუსს წინ მიუძღოდა ავანგარდი, რომელსაც გენერალი კულნევი მეთაურობდა. განსაცდელის წინაშე მდგარ მებრძოლებს, კულნევი მიმართა: „დამერთი ჩვენთანაა! მე თქვენს წინაშე ვარ! ჩვენს უკან თავად ბაგრატიონია!“ ბაგრატიონის კორპუსმა და მთლიანად არმიის გმირობამ აიძულა შვედების მთავრობა ზავი მოეტხოვრათ. 1809 წლის სექტემბერში ზავი დაიდო. რუსეთმა ფინეთი და ალანდის კუნძულები მიიღო.

1809 წლის მარტში „სანკ-პეტერბურგის ვედო მოსტმა“ ყველას ამცნო, რომ შვედების წინააღმდეგ ბრძოლებაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის გენერალ-ლეიტენანტ ბაგრატიონს ბრძოლებში განსაკუთრებული დამსახურებისთვის ინფანტერიის გენერალმა ანუ ქვეითი ჯარის სრული გენერლის ჩინი უბოძა“.

პეტერბურგში პეტრე ბაგრატიონი ყველაზე ცნობილი და საყვარელი პიროვნება გახდა. ყველას აინტერესებდა მასთან შეხვედრა და საუბარი. მისი მეუღლე კი ვენაში ატარებდა ფუქსავატურ ცხოვრებას. მას დიდძალი ვალები დაედო და გადაწყვიტა მეუღლისთვის ეთხოვა დახმარება. ვენიდან ვ. ბოგოლუბოვი გამოგზავნა ბაგრატიონთან მოსალაპარაკებლად, რათა შორეულ მეუღლისთვის ფინანსური დახმარება ეთხოვა. ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია – ბაგრატიონი დარცხვინილი და ქედმოდრეკილი კი არ ითხოვდა დახმარებას, არამედ მისი განცხადებით, ვალებისა და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზი პ. ბაგრატიონი იყო. მიუხედავად ასეთი უსამართლო ჭორებისა, ბაგრატიონმა საკმაოდ



ლითა და პატივისცემით სარგებლობდა არმიაში და რუსეთის მაღალი წოდების საზოგადოებაში. გენერალ-სიმუხის ა. სუვოროვის მოწაფე და განუშორებელი თანამებრძოლი, ყველაზე საუკეთესო მხედართმთავრად მიჩნდათ რუსეთის გენერლებს შორის. ა. სუვოროვი იმპერატორ პავლე პირველისადმი გაგზავნილ წერილში, აღფრთოვანებული უსვამდა ხაზს, იტალიის სამხედრო ექსპედიციაში გენერალ პეტრე ბაგრატიონის დიდ როლს და კიდევ და კიდევ იმეორებდა, რომ იგი ჩინებული სარდალი და უმაღლესი ჩინის ღირსი გენერალი იყო.

მოგვიანებით, ნაპოლეონიც ხოტბას ასხამდა ბაგრატიონის ვაჟკაცობასა და მხედართმთავრულ ნიჭს: „რუსეთს ერთადერთი ბრძოლის უნარიანი გენერალი ჰყავს – ბაგრატიონი, ისიც მეორეხარისხოვან თანამდებობაზეა“; – აღნიშნავდა ნაპოლეონი 1812 წლის სამამულო ომის დაწყების წინ.

აკადემიკოსი ე. ტარლევც ხაზს უსვამდა გენერალ ბაგრატიონის გამორჩეულობას – სხვა გენერლებისგან.

იმპერატორები: პავლე პირველი და ალექსანდრე პირველიც მაღალი წარმოდგენისანი იყვნენ ქართველ გენერალზე. მომდევნო წლებში, იმპერატორის დის ეკატერინე პავლეს ასულის სიმპათიებმა და წერილებმა პ. ბაგრატიონისადმი, ალექსანდრე პირველის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ქართველი გენერალი პეტერბურგიდან შორს გადაიყვანეს სამხედრო სამსახურში.

პეტრე ბაგრატიონისადმი არმიისა და მოსახლეობის სიყვარული ვერ დაჩრდილა იმპერატორის უკმაყოფილებამ. ვერც ეკატერინე პავლეს ასულის გრძნობა გააცივა ქართველი გენერლის

დარჩა.

1800 წელს, პეტერბურგში ომგადახდილ გმირს იმპერატორიც, სამეფო კარის წარმომადგენლებიც და საზოგადოებაც კარგად შეხვდნენ. ყველა ნატრობდა ლეგენდარულ გენერალთან შეხვედრას. პეტრე ბაგრატიონის საბრძოლო დამსახურებით კმაყოფილმა იმპერატორმა 1810 წლის აპრილში, წასახალისებლად, მდიდარი სოფელი უბოძა მას ლიტვის გუბერნიაში. პეტრე ბაგრატიონს არ აინტერესებდა მამულები, ნაბოძებ სოფლებს არცკი ნახულობდა ხოლმე, ისე ჰყიდდა. ამჯერადაც ასე მოიქცა. მას არც სოფლის და არც ყმა-გლეხთა მოვლა შეეძლო და არც დრო ჰქონდა. ლაშქრობიდან დაბრუნებული პეტერბურგში ცხოვრობდა და თითქმის ყოველთვის ესწრებოდა მეჯლისებსა და საღამო-გართობებს.

ერთ-ერთი ასეთი გართობისას პეტრე ბაგრატიონი პეტერბურგელმა ახალგაზრდა ლამაზმა ქალიშვილმა ეკატერინე პავლეს ასულმა სკავრონსკაიამ შენიშნა. ლამაზმა ქალიშვილმა ბევრი რამ იცოდა ქართველი მებრძოლის გმირული ბრძოლების შესახებ და მისი გაცნობაც მოინდომა.

როცა ბაგრატიონი დარბაზში შემოვიდა, შეკრებილი აღფრთოვანებით შეხვდნენ. ეკატერინემ თავად ბალაშოვს დაავალა ბაგრატიონთან გაცნობა, რაზეც გენერალმა უარი განაცხადა და ადიუტანტს კარუტის მოყვანა უბრძანა. თავადი ბალაშოვი დაბრუნდა ეკატერინესთან, რომელიც უსიტყვოდ მიხვდა გაცნობაზე უარყოფით პასუხს და განუცხადა, რაა, უარი სთქვა? დარცხვინილმა უთხრა, ვერ შევასრულე თქვენი დავალება. ამ დროს ადიუტანტი შემოვიდა და ბაგრატიონს მიმართა „კარუტა მზად არის“. ბაგრატიონი

(დასასრული)

დიდი თანხა გაუგზავნა.

პეტრე ბაგრატიონის მეუღლეს ეკატერინე სკავრონსკაიას, მამინაცვალმა გრაფმა ლიტამ (თავის გერს), რამდენიმე ათეულათასი მანეთი მისცა სესხის სახით, თუმცა, როცა გაიგო გრაფი ლიტა გარდაიცვალა, მის საბუთებში ნახეს ანდერძი, რომლითაც თავის ნამდვილ იტალიელ მემკვიდრეებს ავალეზდა, რომ არ შეეწუხებინათ ეკატერინე სკავრონსკაია ამ ფულის მოთხოვნით.

ეკატერინე სკავრონსკაიამ ვალები გაისტუმრა, ეკონომიური მდგომარეობაც გამოუსწორდა ბაგრატიონის წყალობითა და მამინაცვლის დახმარებით.

პეტრე ბაგრატიონის ფრანგების წინააღმდეგ ბოროდინოს ველზე მიღებული ჭრილობით გარდაცვალების შემდეგ, ეკონომიურად გაძლიერებული „ქერივი“ ეკატერინე სკავრონსკაია-ბაგრა-

სკაიასთან იკრიბებოდნენ ალექსანდრე I და მისი ახლობლები. ქაღალტონ დე-საგანთან კი მეტერნისი და მისი ახლობლები.

ავსტრიის პირველ მინისტრ მეტერნისსა და ალექსანდრე I-ს შორის ზიზღმა იჩინა თავი. იმდროინდელი

1812 წლის სამამულო ომის გმირის-პეტრე ბაგრატიონის ქორწინების პირველი და უკანასკნელი მარცხი

საიდუმლო პოლიციის მოხსენებებში, ხაზგასმული იყო ეკატერინე I-ის ძმის შვილიშვილის ეკატერინე სკავრონსკაიასა და ალექსანდრე I-ს შორის არსებული სიახლოვე და ინტიმური კავშირი. ეკატერინე სკავრონსკაია იმდენად თავშეუკავებელი იყო, რომ ყველას უყვებოდა ალექსანდრე



პირველთან შეხვედრებსა და მასთან გატარებულ დროზე. ეკატერინე სკავრონსკაიას ზეგავლენით ალექსანდრე პირველი არარად ავლენდა პერცოვის ასულ დე-საგანს, მეტერნისს შეძულდა ეკატერინე სკავრონსკაია, მას აღარ ეპატიებოდნენ ავსტრიის ყოვლისშემძლის მიერ გამართულ მეჯლისებზე. სამაგიეროდ, ეკატერინე სკავრონსკაია იყო თავდაჯერებული, რომ ალექსანდრე პირველთან სიახლოვე მის სახელს განადიდებდა ავსტრიის სამეფო კარზე. სინამდვილეში, ასე არ მომხდარა. მისი სახელი არამც თუ განდიდდა, არამედ ყველას წინაშე დაე-

ტიონი უფრო ღია აღვრახსნილ ცხოვრებას ეწეოდა.

მრავალ ბრძოლებსა და ომში გამარჯვებული გენერალი ბაგრატიონისთვის პირველი და უკანასკნელი დამარცხება იყო დაოჯახების საკითხში. მათი უიღბლო ქორწინების საფუძველი იყო მათ შორის 20 წელი სხვაობა და ეკატერინეს მსუბუქი ყოფაქცევა. იგი ძალიან ღამაში იყო და მაღალი წოდების ბევრი წარმოსადგები პირების ყურადღებას იპყრობდა.

ეკატერინე სკავრონსკაია გათხოვდა პეტრე ბაგრატიონზე, ყოველგვარი გრძობებისა და წინდაუხედაობით. მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ მხედართმთავარსა და მომავალი 1812 წლის სამამულო ომის გმირს - პეტრე ბაგრატიონს ვერ გაუწია მეუღლეობა, სიმდიდრით, სიღამაზით, მრავალი თავყვანისმცემლებითა და მსუბუქი ყოფაქცევით განთქმულმა ეკატერინე სკავრონსკაიამ. გათხოვების შემდეგ, მალე ავსტრიაში - ვენაში გადასახლდა და თავის თავყვანისმცემლებთან ერთობოდა.

1813-14 წლებში იგი ავსტრიის მინისტრის მეტერნისის საყვარელი იყო. 1814 წლის ბოლოს ვენაში გამოჩნდა უღამაზესი ქაღალტონი პერცოვინია დე-საგანი, ორჯერ ნაქმარევი, პირველ ქმარს ლიუდვიგ დე-როგანს, 1805 წელს დაცილდა. მეორე ქმარს - ვასილ ტრუბცკოისაც მალე გაეცა. მესამე ქმარი იყო გრაფი რუდოლფ ფონ-შულენბურგი, რომელზედაც 1819 წელს გათხოვდა.

პერცოვის შვილი დე-საგანი იშვიათი სიღამაზის ქაღალტონი იყო. მან მალე მიიპყრო მეტერნისის ყურადღება და დაისაკუთრა კიდევ ეკატერინე სკავრონსკაიამ დაკარგა საყვარელი. ამ ამბის გამო, სამუდამოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს ეკატერინე სკავრონსკაია და ქაღალტონი დე-საგანი, რომლებიც შემთხვევით ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ეკატერინე სკავრონსკაიას დიდხანს არ უნადვლია მეტერნისთან დაცილება. მალე მისი ხშირი სტუმარი გახდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I. ეკატერინე სკავრონ-

ცა.

ამას დაემატა ისიც, რომ ალექსანდრე პირველის ყურადღება მიიპყრო ვენის დიდებულთა დიდებულმა, უღამაზესმა სოფიო სინმა. მსუბუქი ყოფაქცევით სახელგანთქმულ ეკატერინე სკავრონსკაიას ძალიანაც არ სწყენია ხელმწიფე-იმპერატორის, ალექსანდრე პირველის საქციელი. არც ის ჩამორჩა თავის საყვარელს და მანაც ბავარიის ახალგაზრდა პრინცისკენ იბრუნა პირი. მალე ბავარიელი პრინცი ეკატერინე სკავრონსკაიას ხშირი სტუმარი გახდა, რამდენიმე კვირაში კი, საყვარლის სახელიც დაიმსახურა, რაც მალე პოლიციის საიდუმლო მოხსენებებში იქნა გამოჩინებული. ამ პერიოდში, მეტერნისიც გაცივდა ღამაში დე-საგანისადმი. ქარაფშუტა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, ურცხვად დაღატობდა ავსტრიის ყოვლისშემძლე მინისტრს - მეტერნისს. პერცოვის ასულ დე-საგანს, მამა-პაპეული მამულები ჰქონდა რუსეთში. იმხანად, რუსეთიდან შეიტყო, რომ მას ხელისუფლება ავიწროებდა. შესაძლებელი იყო მისი მამულების საჯაროდ გაყიდვა. დე-საგანმა საჩივრით მიმართა ვენაში მყოფ ალექსანდრე პირველს, რათა დახმარება აღმოეჩინა მისთვის, მამულების შენარჩუნების საქმეში. რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მის საჩივარზე უპასუხა: „ყველაფერი იოლად მოგვარდება, თუ მეტერნისისგან შორს იქნებით“. პერცოვის ასულს დე-საგანს ყოველგვარ დახმარებას შეჰპირდა ხელმწიფე-იმპერატორი, რომ მისი მამულები არ გაიყიდებოდა. ეს გარიგება ორთავეს აწყობდა. რუსეთის ხელმწიფეს ქაღალტონი დე-საგანის ხელში ჩაგდება უნდოდა. დე-საგანს კი მამულების შენარჩუნება და ხელმწიფის საყვარლობა. ალექსანდრე I დე-საგანსკენ გადაიხარა, მიზეზად კი ეკატერინე სკავრონსკაიას ენატარტარსა და თავგამოდებას ასახელებდა. ალექსანდრე პირველს არ გაჭირვებია დე-საგანთან დაახლოება.

მეტერნისმა საბოლოოდ ამოიკვეთა ფეხი-პალმ-შანკენტრასაზე, სადაც დე-საგანი ცხოვრობ-

და. მეტერნისი ალექსანდრე პირველმა შეცვალა. ეკატერინე სკავრონსკაია სულაც არ განიცდიდა ალექსანდრე პირველთან დაცილებას. ის ბავარიის ახალგაზრდა პრინცის შემდეგ, კვლავ ეცადა ძველი კავშირი აღედგინა ევგენი ბოგარნესთან.

როგორც ჩანს, ორივე ქაღალტონი ეკატერინე სკავრონსკაია და დე-საგანი ერთმანეთს ჰგავდნენ მსუბუქი ყოფაქცევით და ენატარტარით. პერცოვის ასულმა დე-საგანმა ურცხვად გამოაშკარავა თავისი სიახლოვე ინგლისელ ლორდ სტიუარტთან, რამაც მისი ახალი საყვარელი ალექსანდრე I განარისხა. ძველი მეგობარი - მეტერნისი კი ცოტა დაამწვიდა. ორივე ქაღალტონთან დაახლოებისა და დაცილებას დიდი დრო და მოფიქრება არ სჭირდებოდა.

ამიტომ იყო, რომ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I - ორივესთანაა, ორივეს ერთნაირად ნახულობს, ორივეს ერთნაირად უყოფს დროს. ალექსანდრე I-ის ორივესთან ერთდროულად დაახლოება, იქაური მაღალი საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია და ორივე ქაღალტონის ავსტრიიდან გაძევება მოითხოვეს.

პარალელურად, მეტერნისსა და ალექსანდრე I-ს შორის, ისევე დაიძაბა ურთიერთობა, მთელი ვენა იმათზე ლაპარაკობდა, ყველაფერს კი ეკატერინე სკავრონსკაიასა და დე-საგანს აბრალებდნენ და აცხადებდნენ: „პოლიციას რომ დროზე გაესახლებინა ორივე ქაღალტონი ვენიდან, მეტერნისსა და ალექსანდრე I-ს შორის ურთიერთობა ასე მტრული არ იქნებოდა“-ო.

ალბათ საზოგადოების წყრომას მოერიდნენ და ორივე ქაღალტონის მოქმედებით, საქმე გამოსწორებისკენ წავიდა. მალე მეტერნისმა ორივე ქაღალტონის ნდობა დაიბრუნა, ორივე მის სასარგებლოდ ამოქმედდა: ეკატერინე სკავრონსკაია ალექსანდრე პირველზე ახდენს ზეგავლენას, დე-საგანი კი მეტერნისზე. ავსტრიის პირველ მინისტრსა და რუსეთის იმპერატორს შორის დაძაბულობამ იკლო. ურთიერთობა განახლების კეიოდ გზას დაადგა. ერთხანს ეკატერინე სკავრონსკაია წაახალისა იმპერატორის ალექსანდრე პირველის ძმის კონსტანტინე პავლეს ძის ყურადღებას და არშიეობამ. ქარაფშუტა ქალი დიდი თავადის კონსტანტინე პავლეს ძის საყვარელი გახდა, მაგრამ არც მასთან ყოფილა დიდხანს. როცა კონსტანტინე პავლეს ძემ ეკატერინე სკავრონსკაია გაცვალა ფრანგ მსახიობ ლამპერზე, იგი უახლოვდება ახალგაზრდა უფლისწულს ვიურტენბერგს, რომელიც ალექსანდრე პირველის ძის ეკატერინე პავლეს ასულის ქმარი იყო. ბედის დაცინვა თუ არა, სხვაგვარად როგორ აიხსნება ეკატერინე სკავრონსკაიას საქციელი. ალექსანდრე პირველის და, ეკატერინე პავლეს ასული, პეტრე ბაგრატიონის ცოლობას აპირებდა, ის სხვაზე გაათხოვეს და ქართველი გენერლის ნამდვილი - კანონიერი, ვენაში გადახვეწილი ცოლი ეკატერინე სკავრონსკაია კი - ეკატერინე პავლეს ასულის მეუღლის ვიურტენბერგის საყვარელი გახდა. ამასთანავე ავრცელებდა ხმებს, რომ ალექსანდრე პირველის და ეკატერინე პავლეს ასული არ უყვარდა პრინცს, ვინაიდან არ მოსწონდა იგი. ხელმწიფე იმპერატორთანაც იჩივლა, რომ მის დას ეზიზრებოდა იგი (ეკატერინე სკავრონსკაია - მ.გ.) ვიურტენბერგის გამო.

ერთი სიტყვით, არ ყოფილა დრო, რომ ამ ორ ქაღალტონს, რომელიმე ყოვლისშემძლე, ხშირად გვირგვინოსანი საყვარელი არ ჰყოლოდათ.

ეკატერინე სკავრონსკაია ისე დაუახლოვდა ხელმწიფე იმპერატორის ძის საქმროს, ვიურტენბერგს, რომ როცა ამ უკანასკნელმა ვენა დატოვა, მან რამდენიმე სადგურით გააცილა იგი.

ორივე ქაღალტონის ავტორიტეტი დაეცა. ეკატერინე სკავრონსკაია საბოლოოდ ჩამოცილდა ალექსანდრე პირველს და კარლსრუეში გაემგზავრა, რათა ახლოს ყოფილიყო თავის შეყვარებულ ვიურტენბერგთან. როგორც ჩანს, მას მოსწონდა უაზრო, ფუქსავატური ცხოვრება და 1816 წელს, პეტრე ბაგრატიონის ქერივი ეკატერინე სკავრონსკაია ინგლისელ ლორდ ჰოვენზე გათხოვდა. მეორედ დაქვრივებული, უკვე მოხუცებული 62 წლისა გარდაიცვალა ნიკაში.

საკვირველია და განსაცვიფრებელი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მას ბაგრატიონის, როგორც მეუღლის გვარი არ შეუცვლია.

როცა შინაგან კომფორტზე და თავისუფლებაზე ვფიქრობ, ყოველთვის ცარიელ ოთახს წარმოვიდგენ,

საწყისებით. თვითონაც ახლგაზრდა დედა და უფრო დიდ სიყვარულს დაუთმო დრო, თუმცა, გაგრძელებას,

საინტერესო ხელოვანი ორიგინალური ხელნერიით

დიდი სივრცით, უწესრიგოდ მიყრილი საღებავებით, ფუნჯებით, დასვრილი სხეულითა და სახით, ტანსაცმელზე შექმნილი საღებავიანი ხელებით, დიდი მოღებრებით და ზედ გადატანილი ჩემი შინაგანი მდგომარეობით. ეს ისაა, რაზეც მე ოცნება შემიძლია, რასაც მხოლოდ ჩემი წარმოსახვა წვდება, სადაც ვხედავ ჩემს თავისუფლებას, სხეულისთვის კი, ვინც ბუნებისგან ჯილდოდ არა მხოლოდ წარმოსახ-

სახელოსნოს გახსნას გეგმავს და გამოფენისთვისაც ემზადება. ტატას შევხვდით და ვესაუბრეთ მის შემოქმედებაზე, იმედია, მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება, ახლგაზრდა ნიჭიერი მხატვრის გაცნობა:

ტატა ბლიაძე (მხატვარი):
-ჩემი ხატვით დაინტერესება ადრეული ბავშვობიდან მოდის, მიუხედავად იმისა, რომ არაფერს მყავს ოჯახში მხატვარი, ნათესავიც კი. პირველი



ვითი შესაძლებლობები, არამედ რეალურად ფერების საოცარი შერევის, სამყაროს სხვა ხედვის ნიჭის უნარი ერგოთ, ეს მხატვრობაა-საღებავით შექმნილი ცნობიერების გამოსახვა. ტატა ბლიაძე ახლგაზრდა მხატვარია, მას სხვა წარმოსახვა და სხვა შეხება აკავშირებს მოღებრებთანაც და საღებავებთანაც. მისი ფერები ფერადია, ეძებს, ახავეებს, ქმნის. სიმბოლიზ-

ნახატი 4 წლის ასაკში დამიხატავს, საოჯახო ნივთები იყო, რასაც ყოველდღიურად ვუყურებდი და აღიქვამდა ბავშვის თვალი, იმას ვხატავდი. დედას თავისმა მეგობარმა ურჩია, მივეყვანე მასწავლებელთან, რადგან შემამჩნია განსაკუთრებული ნიჭი და დამოკიდებულება ხატვისადმი. ამის შემდეგ სერიოზულად დაინტერესდი და გადავწყვიტე პროფესიად შექცევა. დავამთავრე სამხატვრო სკოლა და შემდეგ იაკობ ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელში, ფერწერის ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა.



„ჩაოსი“ 60/80, შერეული ტექნიკა Mixed media

მად ქვეული მისი შემოქმედება თემატურად ესადაგება ჩვენი საუკუნის იმ გამოწვევებს, რომლებიც ქალების წინაშე მოდის. ბევრი კრიტიკოსი მას ფემინისტ მხატვრად თვლის, რადგან მისი შემოქმედების მთავარი თემა ქალია, თავისი თვითმყოფადობით, სიყვარულით, ტკივილით და დედობრივი

-რა ჰქვია შენს მიმდინარეობას მხატვრობაში?
-თავიდან, როცა ხატვა დავიწყე, რაიმე კონკრეტული ჟანრი არ ამირჩევია, ეს შემდეგ, უკვე მუშაობის და განვითარების პროცესში მოვიდა. ბოლოს სიმბოლიზში, სიურიალიზმში და ფენტეზი გამოვიდა-ბევრი სიმბოლოების არსებობის გამო, დღეს ასე ვუწოდებ ჩემს ნამუშევრებს. პირველივე ნამუშევარი რაღაც კონკრეტულ ჟანრს მიეკუთვნებოდა, სადაც ჩემი ხედვა და დამოკიდებულებები ჩანდა, ეს არ იყო აკადემიური სტილი რასაც სწავლის პროცესში გავდიოდი-ჩემი უფრო ხელწერა იყო. რამდენიმე ნახატი ამის გამო, დავის და განსჯის საგნადაც იქცა.

-რაზე მუშაობ, ტილოზე?
-ტილოზე და მუყაოს ქაღალდზე ვხატავ. მუყაოს ქარაღდზე შედარებით მარტივია ხატვა, ტილოზე ხატვა დიდ დროს მოითხოვს და სხვა სირთულეა. დაახლოებით 3-4 თვე მჭირდება ტილოზე მუშაობისთვის. ტილოზე შექმნილი ნახატები უფრო მოთხოვნადია, მეტ შრომას და დროს მოითხოვს, შესაბამისად, ფასიც მაღალია და ძვირადღირებულია. მუყაოზე ნახატიც გამოვიდა. ჩემი ნახატები საქართვე-




ლოს გარდა, ამერიკაშიც გამოვიდა. ინტერნეტ საიტებზე მიღვეს ნამუშევრის სურათები და მიკავშირდებიან.

-სახელოსნო გაქვს?
-სწავლის დასრულების შემდეგ, ორი წელი შესვენება მქონდა, სხვა მიმართულებით დავიწყე სწავლა. სახელოსნო გავხსენი, სადაც ორი წლის განმავლობაში აქტიურად ვმუშაობდი, ჩემი ნამუშევრების უმრავლესობა იქაა შექმნილი. ახლაც შესვენების პერიოდი მაქვს ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე.

-რა არის შენი შთაგონება, ინსპირაცია საიდან მოდის?
- შესაძლოა წიგნი წავიკითხო და იქიდან წამოვიღო შთაგონება, ან რაიმე მოვლენა, ფაქტი გახდეს ჩემი ნახატის შექმნისა და შთაგონების მიზეზი. ბევრი ფიქრობს, რომ ფემინისტი ვარ, მაგრამ ასე არაა. თემატურად წამოვიდა ქალის კულტი. ძალიან მიყვარს ფერები და ვცდილობ ბევრი ფერი შევიტანო ნახატში, ერთ-ერთი ნახატი მკერდის კიბოსთან დაკავშირებით დავხატე, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ილეობა? პერსონალური გამოფენის გაკეთებას არ აპირებ?

-დაახლოებით 10 ჯგუფურ გამოფენაში მაქვს მონაწილეობა მიღებული. ერთხელ პერსონალური გამოფენაც მქონდა, მოკრძალებული ფორმის რადგან ვყიდდი ნამუშევრებს და საგამოფენოდ რაოდენობა აღარ მყოფნიდა. სულ 25 ნახატი მაქვს, რამდენიმე გავეცი, მხოლოდ 15 მაქვს ახლა. მანჰეტენზე ტარდება გამოფენა. მისი ორგანიზატორი დამიკავშირდა და შემომთავაზა მონაწილეობის მიღება. ჩემს მონაცემებს გავგზავნი და გამოიფინება ერთ-ერთ გალერეაში.




-გამოფენებში თუ მიგიღია მონაწილეობა?

ამირან ბარბაქაძის გახსენება

ჩემო საყვარელო ძმავ, ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა, რაც შენი გული აღარ ფუტქავს, მაგრამ ვიდრე მე ცოცხალი ვარ, შენი ამაგი, სითბო მუდამ დაუვიწყარია შენს სახლში, სანათესაოში. სამომში კი ისეთი სახელი დატოვე, რომ არასოდეს არ იქნები დავიწყებული მათ გულებში. მრავალჯერ გავიმეორებ, რომ შენ იყავი ჩემი აღმზრდელი, დამრიგებელი, შენ მასწავლე და გამომიყვანე ისეთ დედამამიშვილად, როგორც შენ გეკადრებოდა, ჩემო ღამაზო ძმავ, სუფრა არ ჩაივლის შენი სხენების გარეშე, შენ იყავი დიდი პედაგოგი, შესანიშნავი ხელოვანი. რადენიმე დღის წინ ასევე დედამამიშვილი, ჩვენი დაჩაგრული „და“ ქალბატონი ციცო გამოგვეცავდა ხელიდან და წამოვიდა შენთან. დამტოვეთ შენ, უფროსმა ძმამ ვახომ, ციცომ, მაგრამ იცოდეთ, სანამ პირში სული

მიღვას, ყველანი ჩემს გულში იქნებით. დედაზე რა ვთქვა? საცოდავად დაგვზარდა, გვასწავლა იმ ომიანობის დროს, როცა თითონ თოვლიან მკაცრ ზამთარში, ნამქერში წვალობდა, ლუკმა-პურს არ გვაკლევდა, სმირად სიზმრებში ვხედავ, შენი დაბადების დღეა 9 აგვისტო. შეამაყები, რომ უაღრესად დიდი სახელი დატოვე ამ ქვეყანაზე. იძინეთ ტკბილად ყველამ. შენ იყავი იცოდეთ, ჩემი ძმაც და მამაც.

სამარადისო დიდება შენს სახელს. შენი ძმა ომარ ბარბაქაძე



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. -ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუსიაშვილი.